დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს სკოლა ევრო-2000

შეფასების თარიღ(ებ)ი 15,16,17 ივნისი 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი 18.07.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს სკოლა ევრო-2000
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245437843

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბათუმი
იურიდიული მისამართი	ზურაბ გორგილაძის ქუჩა 89

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ფაქტობრივი მისამართი	ზურაბ გორგილაძის ქუჩა 89
საფოსტო ინდექსი	6010
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://euro-2000.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	evro2000b@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0422 274247
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ანზორ აბუსერიძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599 55 76 82
ელ-ფოსტა	anzor.abuseridze@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 3 22 0000524922
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 15, 16 და 17 ივნისი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ფიცხელაური
წევრი (სახელი, გვარი)	ნანა ედიშერაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	თეა გაბელაია
წევრი (სახელი, გვარი)	ლევან ღურწკაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები.	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	მუხლი 7/ პუნქტი ზ)	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე	მუხლი 7/ პუნქტი თ)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს			
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*1.1.*	*ხარვეზი არ გამოვლენილა*
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	*ხარვეზი არ გამოვლენილა*
ქვესტანდარტი		
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	*ხარვეზი არ გამოვლენილა*
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.2.*	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლის შესაბამისად, სასკოლო საათობრივ ბადეში ცვლილებების შემთხვევაში, საათობრივი ბადე შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.6.3*	ექსპერტების რეკომენდაციაა: სკოლის 9 სართულიანი შენობისა და მოსწავლეთა რიცხოვნობის გათვალისწინებით, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება No41/ნ/01-23/ნ შესაბამისად, დაასაქმოს მეორე ექიმი და მეორე სამედიცინო კაბინეტი მოაწყოს შენობის ყველაზე დაბალ სართულზე, ფიზიკურად მარტივად მისადგომ ტერიტორიაზე, გადაუდებელი შემთხვევის დროს სამედიცინო კაბინეტში პაციენტის მარტივად შეყვანა-გამოყვანის (მათ შორის საკაცით) შესაძლებლობის გათვალისწინებით.
ქვესტანდარტი	*2.6.*	იმის გათვალისწინებით, რომ ვიზიტის პერიოდში, სკოლაში, ბოლო სართულზე მიმდინარეობდა სახურავის რეკონსტრუქციის სამუშაოები, სკოლამ მიიღონ რეკომენდაცია დაიცვას მოსწავლეთა უსაფრთხოების ნორმები და სწავლის დაწყებამდე დაასრულოს სარემონტო სამუშაოები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*2.6.5*	სკოლამ მიიღო რეკომენდაცია 2 კიბის უჯრედი, რომელიც არ კონტროლდება, აღჭურვოს სამეთვალყურეო კამერებით.
ქვესტანდარტი	*2.8*	სკოლამ მიიღო რეკომენდაცია სტრატეგიული გეგმის პროექტის დამტკიცებამდე მასში ასახოს გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები, განსაზღვროს შესრულების ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს ის , რომ 2009 წლიდან შპს სკოლა ევრო-2000 არის ინიციატივის „სკოლები-მომავლის პარტნიორები“ პროგრამის წევრი. 2011 წელს გერმანიაში კულტურის მინისტრების კონფერენციის სამდივნოს ცენტრალური ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით სკოლა ევრო-2000 გახდა ენის დიპლომის სკოლა და არის ერთ-ერთი იმ 1700 სკოლიდან, რომლებიც ფუნქციონირებენ მსოფლიოში, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარტნიორი სკოლები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში სკოლა ზრუნავს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შვებულებაში მყოფ თანამშრომლებზე, კერძოდ სკოლის გადაწყვეტილებით დეკრეტში მყოფ ყველა თანამშრომელს ეძლევა ანაზღაურება 250 ლარის ოდენობით თვეში, შვებულებაში ყოფნის პერიოდში.

დაწესებულების მისია	სკოლა ევრო-2000-ის მისიაა აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება, რომელსაც ექნება განვითარებული გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება და პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. საერთაშორისო კავშირების დამყარება-ამოქმედება; გაცვლით სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა; მოსწავლეების მომზადება საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციისათვის.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	სკოლას წინა ვიზიტის პერიოდში 2016 წელს, არ მიუღია რეკომენდაცია.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 1500	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა ევრო-2000-ის 2021-2022 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისგან: • სკოლის მისია; • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სასწავლო წლის კალენდარი; • დღის რეჟიმი; • სასკოლო საათობრივი ბადე; • გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; • საგნობრივი კათედრები; • ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა; • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); • ინკლუზიური განათლება; • ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში; • სადამრიგებლო პროგრამა; • IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი. ასევე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი; • დისტანციური სწავლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა თავისი საერთო მისიიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს მოქალაქეობრივ პრინციპებზე დაყრდნობით. მისი მთავარი მიზანია სკოლის საზოგადოებაში შეიქმნას თანასწორუფლებიანი, არადისკრიმინაციული ურთიერთობები, როგორც სკოლის მოსწავლეებსა თუ პედაგოგებს შორის, ასევე მშობლებსა და სკოლასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოქალაქესთან მიმართებაში . სკოლის ერთერთი უმთავრესი ამოცანაა მრავალენობრივი და მულტიკულტურული საზოგადოებისათვის თანასწორი პირობების შექმნა, ურთიერთდაფასება, თანადგომა, განსხვავებული ერებისა და კულტურების პატივისცემა. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს სწავლების თითოეული საფეხურის მისია. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ და რუსულ ენებზე, სამ საფეხურად: • დაწყებით (I-VI კლასები), • საბაზო (VII-IX კლასები), • საშუალო (X-XII კლასები). სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის 2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი დანართი N 1 სახით. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი; II კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა 40 წუთი III – XII კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი; გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 10 წუთი, მეშვიდე და მერვე გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა შეადგენს 5 წუთს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია გაკვეთილების განრიგი პირველი, მეორე და სხვა ყველა კლასისთვის. შპს სკოლა ევრო-2000 2021-2022 სასწავლო წელს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მე-6 დან მე-12 კლასის ჩათვლით ქმნის განაყოფებს პირველ უცხოურ (ინგლისური) და მეორე უცხოურ (გერმანულ) ენაში. ასევე ქმნის განაყოფებს საშუალო საფეხურზე არჩევით საგნებში- რუსულ და ფრანგულ ენებში. 2009 წლიდან შ.პ.ს. სკოლა „ევრო-2000“ არის ინიციატივის „სკოლები-მომავლის პარტნიორები“ პროგრამის წევრი და გერმანული ენის დიპლომის (DSD II) სკოლა. სკოლა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ჩააბარონ გერმანული ენის დიპლომის B2/C1 საფეხურის გამოცდა. ეს მიზანი მოითხოვს გერმანული ენის გაძლიერებულ სწავლებას, რაც მოსწავლეებს უვითარებს ენის ყველა ძირითად კომპეტენციას და საფუძველს უქმნის მათ, სწავლა გააგრძელონ გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში. 2013 წლიდან სკოლას მიენიჭა DSD I-ის გამოცდის ჩატარების, კერძოდ, B1 საფეხურის დიპლომის გამოცდის ჩატარების უფლება. ეს დიპლომი მიზნად ისახავს არამარტო A, ასევე B ჯგუფის მოსწავლეებს მიეცეს საშუალება უცხოეთში სწავლის გაგრძელებისა, რაც მოსწავლეებში ზრდის გერმანული ენის შესწავლის მოტივაციას. გამოცდაზე მონაწილეობის უფლება აქვთ მე-9 კლასის A ჯგუფსა და მე-11-მე-12 კლასის B ჯგუფის მოსწავლეებს. 2011 წელს გერმანიაში კულტურის მინისტრების კონფერენციის სამდივნოს ცენტრალური ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით სკოლა ევრო-2000 გახდა ენის დიპლომის სკოლა და არის ერთ-ერთი იმ 1700 სკოლიდან, რომლებიც არსებობენ მსოფლიოში, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარტნიორი სკოლები. სკოლის შიდა სამუშაო კონცეფცია ითვალისწინებს გერმანული ენის გაკვეთილზე ერთენოვანი (გერმანულენოვანი) სახელმძღვანელოებით სწავლებას, ისევე როგორც ეს ხდება მსოფლიოს სხვა გერმანული ენის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დიპლომის სკოლებში. სახელმძღვანელოები სკოლას უფასოდ მიეწოდება სასკოლო საქმის ცენტრალური სამსახურის (ZfA) მიერ. აღნიშნულ განაცხადს, რომელშიც გათვალისწინებულია ასევე გერმანული სახელმძღვანელოების გამოყენება ენის სწავლებისას, რეკომენდაცია გაუწია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 3.12.2010 წ. 23-06/21411 კორესპონდენციით. სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურადაა წარმოდგენილი გერმანული ენის სწავლა-სწავლების ძირითადი კონცეფცია, მიზნები და ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და მათი ინდიკატორები, სწავლების, სტრატეგიები და სოციალური მუშაობის ფორმები, სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, სახელმძღვანელოები, დამატებითი ლიტერატურა. გერმანული ენის ინტენსიური პროგრამის წარმატებით დაძლევის მიზნით კლასები იყოფა ენის ცოდნის დონის შესაბამისად - A (ძლიერი), B (საშუალო), C (სუსტი), სადაც მოსწავლეთა უნარ-ჩვევები საჭიროების მიხედვით ვითარდება. აღწერილია თითოეული დონის ძირითადი ორიენტირები, სწავლებისა და შეფასების სპეციფიკა. წარმოდგენილია გერმანული ენის პროგრამის საათობრივი დატვირთვა მეორედან მეთორმეტე კლასების ჩათვლით. მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასების A ჯგუფის მოსწავლეთათვის მოქმედებს გერმანული ენის წრეები შესაბამისი პროგრამითა და დატვირთვით. გაწერილია წრეობრივი მუშაობის განრიგი მე-6-დან მეთორმეტე კლასებისთვის და მასზე დასწრება სავალდებულოა A ჯგუფის მოსწავლეთათვის, დასწრება თავისუფალია B და C ჯგუფის მოსწავლეებისათვის. შპს სკოლა ევრო 2000-მა ვიზიტისას წარმოადგინა ინგლისური ენის სწავლა-სწავლების ძირითადი კონცეფცია. შპს სკოლა ევრო 2000 თანამშრომლობს ,,English Books in Georgia“ -თან, ეცნობა ახალ სახელმძღვანელოებს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ენის სწავლებისას, კომპანიის მიერ ორგანიზებული ტრენინგების გავლას და მათი შემოთავაზებული ,,TOEFL” გამოცდის ჩატარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში. ,,TOEFL" გამოცდის ჩატარება იგეგმება მე-3 კლასიდან მე-12 კლასის მოსწავლეების ჩათვლით. ჯგუფებში მკვეთრი აქცენტი კეთდება მოსმენის, საუბრის, წერილობითი კომუნიკაციისა და კულტურათა დიალოგის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით ინგლისურ ენაში ხდება პარალელური კლასების მოსწავლეების დაჯგუფება A და B ჯგუფებად ინგლისურად სასაუბრო უნარებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობის შესაბამისად. ჯგუფის შესაძლებლობას მორგებული აღნიშნული ტიპის სამუშაოები ტარდება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. სასწავლო პროცესის ბოლოს კი მოსწავლეები ასრულებენ საბოლოო შემაჯამებელ დავალებას, რომლის შედეგების მიხედვითაც ისინი ნაწილდებიან შესაბამის ჯგუფებში. შპს სკოლა ევრო 2000-ის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია დისტანციური სწავლების შემთხვევაში გასათვალისწინებელი რეგულაციები და პროცედურები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სკოლა გადავიდეს დისტანციური ან შერეული (ჰიბრიდული) სწავლების მოდელზე. სკოლა დისტანციურ-ჰიბრიდულ მოდელზე სინქრონული სწავლებისას იყენებს ZOOM პლატფორმას. დისტანციური სწავლების დროს იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმასა და ციფრულ საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებთან მუშაობა მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად (წინასწარ ჩაწერილი ვიდეო გაკვეთილები, მულტიმედიური რესურსები), ასევე სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომელთა შესრულების შემდეგ მოსწავლე სისტემისგან ავტომატურად იღებს შეფასებასა და უკუკავშირს. გაწერილია დისტანციური სწავლების დროის განრიგი, დღის რეჟიმი, მონიტორინგს მექანიზმები. სკოლაში არის ცხრა საგნობრივი კათედრა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	1. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა 2. მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა 3. საბუნებისმეტყველო საგანთა კათედრა 4. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა 5. გერმანულ-ფრანგული ენების კათედრა 6. ინგლისური ენის კათედრა 7. რუსული ენის კათედრა 8. დაწყებითი (I-IV) კლასების კათედრა 9. ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. წარმოდგენილია კათედრების, კათედრის ხელმძღვანელის ფუნქციები, თითოეული კათედრის მუშაობის მახასიათებლები. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას; მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება. წარმოდგენილია ასევე შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით. სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2021-2022 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას ფასიანი წრის სახით: გახანგრძლივებული I-IV კლასებში, გაკვეთილების შემდეგ, 18:00 საათამდე. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია გახანგრძლივებული ჯგუფის სასწავლო მიზნები და ამოცანები, მიმართულებები, მუშაობის ფორმები, გაკვეთილების ცხრილი I – IV კლასების გახანგრძლივებული ჯგუფისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2021-2022 სასწავლო წელს სკოლა ევრო-2000 მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით უფასო საგანმანათლებლო მომსახურებას შემდეგ საგნებში: გერმანული ენა- მე-2 კლასიდან მე-4 კლასის ჩათვლით; ფრანგული ენა - მე - 4 კლასიდან მე-9 კლასის ჩათვლით; რუსული ენა- მე - 4 კლასიდან მე-9 კლასის ჩათვლით; შპს სკოლა ევრო-2000-ში ფუნქციონირებს არასავალდებულო უფასო ფრანგული ენის ,,DELF"-ის წრე, სადაც მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებს საშუალება აქვთ მოემზადონ ფრანგული ენის საერთაშორისო დიპლომის DELF – A1 ის გამოცდის ჩასაბარებლად. ,, DELF "- ის წრეში გაწევრიანება შეუძლია მე-10-11 კლასის ნებისმიერ მოსწავლეს ინტერესებიდან გამომდინარე. ამისათვის მოსწავლე დათქმულ ვადაში მშობელთან ერთად ავსებს განაცხადის ფორმას. განაცხადების მიღება შეწყდება ზღვრული რაოდენობის (15 მოსწ.) დადგომისთანავე. განსაკუთრებული ინტერესის შემთხვევაში შესაძლოა 2 მოსწავლის დამატება. წრის წევრი მოსწავლე ვალდებულია დაესწროს წრის მუშაობას რეგულარულად. 3 არასაპატიო გაცდენის შემთხვევაში მოსწავლე ვეღარ შეძლებს წრეში მუშაობის გაგრძელებას. გაწერილია წრის სამუშაო გრაფიკი, წესები და პროცედურები, პროგრამის შინაარსი, აქტივობები, საჭირო რესურსები. შპს სკოლა ევრო-2000 -ის სასკოლო სასწავლო გეგმით შესაძლებელი იქნება სკოლის მისიის მიღწევა და სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს სკოლა ევრო-2000-ის პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 9 სექტემბრის ოქმი N1; • შპს სკოლა ევრო 2000-სა და ZFA (გერმანიის საერთაშორისო სასკოლო სამსახური უცხოეთში) პარტნიორობის წერილი; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 3.12.2010 წ. 23-06/21411კორესპონდენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #893 -14.12.2011 შპს სკოლა ევრო 2000 -ისთვის თანხმობის მიცემის შესახებ; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის, სასკოლო სასწავლო გეგმის, დაწესებულებაში ვიზიტისა და ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრების მიხედვით სკოლაში ორი - ქართულენოვანი და რუსულენოვანი სექტორი მუშაობს. ორივე სექტორზე სწავლა-სწავლების პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობს. სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უცხოური ენების სწავლებას. ქართულენოვანი პროგრამისათვის წარმოდგენილი საათობრივი ბადის მიხედვით, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი. საათობრივი დატვირთვა გაზრდილია ინგლისურ ენაში (პირველი უცხოური ენა) და გერმანულ ენაში (მეორე უცხოური ენა). პირველი უცხოური ენის სწავლება იწყება პირველი კლასის პირველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სემესტრიდან კვირაში 2 საათიანი დატვირთვით და იმატებს 4 საათამდე კლასების მიხედვით. მეორე უცხოური ენის - გერმანულის სწავლება იწყება II კლასიდან კვირაში 3 საათიანი დატვირთვით და იზრდება 4 საათამდე კლასების მიხედვით. მესამე უცხოური ენა შემოდის IV კლასიდან. მესამე უცხოურ ენაზე მოსწავლეებს არჩევანი შეუძლიათ გააკეთონ ფრანგულ და რუსულ ენებს შორის. მესამე უცხოური ენის (რუსული/ფრანგული) კვირეული დატვირთვა ყველა კლასში 2-2 საათია. სკოლა უცხოური ენების გაძლიერებულ სწავლებას მოსწავლეებს სთავაზობს სკოლის მისიისა და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით უფასო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით და ის სავალდებულო სახისაა. სკოლა X, XI, XII კლასებს არჩევით საგნებად სთავაზობს რუსულ/ფრანგულ ენებს. შპს სკოლა ევრო 2000-ში სწავლების ორივე სექტორზე შემცირებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საათები I-IV კლასებში 2 საათამდე, ხოლო V-XII კლასებში 1 საათამდე. V-VI კლასებში ბუნებისმეტყველება შემცირებულია 2 საათამდე, ხოლო VI კლასში „ჩვენი საქართველო“ 2 საათამდე. VII-VIII-IX კლასებში შემცირებულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საათები კვირაში 1 საათამდე. ქართულენოვან სექტორზე სასწავლო პროცესში გამოიყენება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. რუსულენოვანი პროგრამისათვის წარმოდგენილი საათობრივი ბადე I-XII კლასებში ითვალისწინებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის (სწავლების ენა) 4[1] პუნქტის მოთხოვნებს. აღნიშნული სექტორის I-XII კლასების საათობრივი ბადის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემადგენელი საგნები თითქმის ქართულენოვანი საათობრივი ბადის ანალოგიურია. ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის, მე-5 პუნქტის მიხედვით „კერძო სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი შესაძლებელია ისწავლებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სკოლას უფლება არა აქვს საფეხურის ფარგლებში საერთოდ ამოიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სავალდებულო საგანი. შესაბამისად, ეს საგანი უნდა ისწავლებოდეს საფეხურის რომელიმე კლასში იმგვარად, რომ სრულად დაიფაროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები. გამონაკლისი კერძო სკოლებისთვის დაიშვება სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით იმ შემთხვევაში, თუ ამ საგნის სტანდარტით განსაზღვრული შედეგები ინტეგრირებულია სხვა საგნის/საგნების სასწავლო გეგმაში.“ გარდა ამისა, ამავე ბრძანების 56-ე მუხლის მიხედვით „მოდელი III – საათობრივ ბადეს შეიმუშავებს თავად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება თავისი შეხედულებისამებრ და სამინისტროში წარმოადგენს შესაბამის დასაბუთებას, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას.“ <u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ეროვნული სასწავლო გეგმის აღნიშნული მუხლების შესაბამისად, სასკოლო საათობრივი ბადე შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.</u> გარდა დოკუმენტაციის შესწავლისა, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კონკრეტულ კლასში კონკრეტული საგნის სწავლებისას ხელი ეწყობა ეროვნული სასწავლო გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრული შინაარსების გააზრებასა და უნარების გამომუშავებას, რაც მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც დასტურდება. სასკოლო საათობრივი ბადის შემადგენელი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისიწინებელი სავალდებულო საგნების სწავლების მიზნებით, შინაარსით, სხვადასხვა სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს სკოლა ევრო-2000-ის პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 9 სექტემბრის ოქმი N1 (სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება); • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური სასწავლო გეგმების მეთოდიკის, თუ შეფასების კომპონენტების ნაწილებში იკვეთება, რომ სკოლისა ფუნქციონირებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებით. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შედეგების ანალიზის ფორმების შინაარსით ჩანს, რომ დაწესებულება აანალიზებს მოსწავლეებთან მიღწეულ შედეგს. იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან მეთოდოლოგიას და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს სთავაზობს სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ ხშირად ეძლევათ დავალებების მენიუ, ბონუს დავალებები, რასაც ასრულებენ მზაობისა და სურვილის მიხედვით. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს რემედიაციული სწავლების მიდგომებს. ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და მშობელთან თანამშრომლობით რემედიატორი მასწავლებელი საგაკვეთილო აქტივობების გარდა დამატებით მეცადინეობებს უტარებს მოსწავლეებს საჭიროებების მიხედვით (დასწავლის სირთულეებისას, ჯანმრთელობის პრობლემებით გამოწვეული გაცდენების შემთხვევაში...). სკოლამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის დამადასტურებელი საინტერესო კომპლექსური დავალებები სხვადასხვა კლასებისა და საგნების მიხედვით. კურიკულუმები სწავლების 5 ძირითად პრინციპზეა აგებული. სადამრიგებლო პროგრამების შინაარსი ორიენტირებულია ადამიანის უფლებების, ინტერკულტურული გარემოსა და ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობის გააზრებაზე. სადამრიგებლო საათების თემები ესგ-ს 6 მიმართულებას ითვალისწინებს. დამრიგებლების ანგარიშებში და მოსწავლეთა ინტერვიუირებისას იკვეთება, რომ კლასებში ხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები ექვსივე მიმართულებით. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია ინკლუზიური განათლების პრინციპებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩოს დოკუმენტები. ვიზიტის პერიოდში სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არ ირიცხებოდა. სკოლა „ევრო 2000“-ში ხშირად გადმოდიან მოსწავლეები, რომლთაც ესაჭიროებათ სხვა სკოლაში/უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება და მათი საჭიროების შესაბამისი სასწავლო გარემოს ორგანიზება. ვიზიტისას შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიმდინარე სასწავლო წელს გადმოსული უცხო ქვეყნის მოქალაქე ერთერთი მოსწავლის დოკუმენტაცია. მოსწავლეს ჰქონდა შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები იმ დისციპლინებში, რაც მას არ ჰქონდა გავლილი წინა კლასებში. მოცემული საგნობრივი პროგრამების დაძლევაში მას შესაბამისი მხარდაჭერა აღმოუჩინა სკოლამ. სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები ინტერვიუს პროცესში აქტიურად საუბრობდნენ მიმდინარე სასწავლო პროცესში მათი ჩართულობისა თუ დაგეგმილი სხვადასხვა ერთობლივი აქტივობების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს სკოლა ევრო-2000-ის პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 9 სექტემბრის ოქმი N1 (სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება); • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • სადამრიგებლო პროგრამები; • შპს სკოლა ევრო-2000-ის რემედიაციის წესი; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან სრულ შესაბამისობაშია. მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს, როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებათა სქემებს. განმავითარებელი შეფასებით აფასებს მოსწავლის პროგრესს დინამიკაში, განმსაზღვრელი შეფასებით კი მოსწავლის ცოდნას საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. შეფასების სისტემა არის ხუთ დონიანი და ათქულიანი. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი-ყველაზე დაბალი. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: მიმდინარე საშინაო დავალება, მიმდინარე საკლასო დავალება და შემაჯამებელი დავალება. სამივე კომპონენტს აქვს ერთნაირი წონა. სკოლამ წარმოადგინა, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი სქემები საფეხურების, საგნების და კომპონენტების მიხედვით. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი სემესტრული და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესი და ვადები. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის მე-6 პუნქტში. შემაჯამებელ დავალებები წარმოდგენილია, როგორც ტესტური (ღია და დახურული შეკითხვებით), ასევე კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებით (მაგ. ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგი შეიმუშავებს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი schoolbook.ge რომლის საშუალებითაც მშობლებს სისტემატიურად მიეწოდებათ ინფორმაცია მათი შვილების მოსწრების შესახებ. ჟურნალი ასევე იძლევა განმავითარებელი შეფასების საშუალებას, რაც კიდევ უფრო მოქნილსა და გამჭვირვალეს ხდის შეფასების სისტემას. ვიზიტის დროს ექსპერტები გავეცანით ელექტრონულ ჟურნალში ადმინისტრატორის ველს, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, შემაჯამებელი დავალებების ტიპებს და ანალიზს. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა უმეტეს საგანში იყო ესგ-ის მოთხოვნებზე მეტი, მაგრამ არცერთ საგანში არ ფიქსირდებოდა სავალდებულო მინიმუმზე ნაკლები. რაც შეეხება სსგ-ს მიხედვით სკოლას განსაზღვრული ჰქონდა მე-5 კლასის მეორე სემესტრში 3 შემაჯამებელი ნაცვლად 5 შემაჯამებლისა. მათემატიკა და ისტ შემაჯამებლების რაოდენობა ერთიანად იყო წარმოდგენილი, ასევე არ ჩანდა სპორტის შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა. აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გაასწორა. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლას სსგ-ით განსაზღვრული ჰქონდა წლიური გამოცდების ჩატარება მე-5 კლასიდან მე-11 კლასის ჩათვლით სხვადასხვა 2-2 საგანში. სსგ-ის მიხედვით „გამოცდების ქულა აისახება წლიურ ქულაზე, კერძოდ, საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკული იქნება (დამრგვალებული მთელის სიზუსტით)“. დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწყებით საფეხურზე, V და VI კლასებში გამოცდები არ ტარდება და გეგმაში იყო დაშვებული მექანიკური შეცდომა, რაც მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუებითაც დადასტურდა. აღნიშნული ხარვეზი ვიზიტის პერიოდშივე გასწორდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2021-2022 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს: ეროვნული სასწავლო გეგმით **გაუთვალისწინებელ დამატებით** საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს ფასიანი წრის სახით- გახანგრძლივებული I-IV კლასებში გაკვეთილების შემდეგ, 18:00 საათამდე. ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით **გათვალისწინებულ დამატებით** საგანმანათლებლო უფასო მომსახურებებს შემდეგ საგნებში: გერმანული, რუსული და ფრანგული ენა. გერმანული ენა- მე-2 კლასიდან მე-4 კლასის ჩათვლით; ფრანგული ენა - მე - 4 კლასიდან მე-9 კლასის ჩათვლით ; რუსული ენა- მე - 4 კლასიდან მე-9 კლასის ჩათვლით. შესწავლილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოების ინტერვიურების შედეგით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • შპს სკოლა ევრო- 2000 ის პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 07 სექტემბრის N1 სხდომაზე დამტკიცებული სსგ - ს დანართი-N 2-შეფასების-ზოგადი-რუბრიკები; • შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები; • განმავითარებელი შეფასების ნიმუშები; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა აქტიურ ინფორმირებას შეფასების სისტემის და პროცესების შესახებ, რაც დადებით გავლენას ახდენს სკოლის ცხოვრებაზე, მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე და ზოგადად სკოლის შემდგომ განვითარებაზე. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას სათანადო პირობები იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებთან და სხვა დასაქმებულ პირებთან. მასწავლებლის/დამრიგებლის მოვალეობებში შედის მშობლებთან ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობაზე დამყარებული ურთიერთობების დამყარება, სათანადო დროის გამოყოფა მშობლებთან კომუნიკაციისათვის, მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ემოციურ და ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დროული მიწოდება, მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა და მათი სასარგებლო ინიციატივების წახალისება. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებისათვის სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი ნაწილების გაცნობა. თავის მხრივ მშობელი ვალდებულია აქტიურად ითანამშრომლოს სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან. შეასრულოს დებულებით, სკოლის შინაგანაწესით და სკოლასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. მშობელი უფლებამოსილია მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილე პირების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება, მიიღოს ინფორმაცია სკოლის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია მისი შვილის სწავლა- განათლებასთან. მოითხოვოს მოსწავლის ობიექტური შეფასება და მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში ყოველი დღე 15:00 საათიდან შესაძლებელია მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან შეხვედრა. მშობელსა და მასწავლებელს შორის შეხვედრას და კომუნიკაციას უზრუნველყოფს დამრიგებელი. დამრიგებლები სულ მცირე სემესტრის განმავლობაში ორჯერ აწყობენ შეხვედრას მშობლებთან პირისპირ ან ონლაინ თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით და მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლის საქმიანობასა და სასწავლო აღმზრდელობით მუშაობის შესახებ. ელექტრონული ჟურნალი საშუალებას აძლევს სკოლას ყოველდღიურ კომუნიკაციაში იყოს მშობლებთან. საკომუნიკაციო ფუნქცია აქვს ასევე სკოლის ვებ-გვერდს და სოციალურ ქსელს. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების ფორმებია სატელეფონო ზარი, ელექტრონული ფოსტა, წერილი, სოციალურ ქსელში პირადი მიმოწერა, მოკლე ტექსტური შეტყობინება. მშობელთა ინფორმირების მიზნით გამოიყენება ასევე მშობელთა კრებები (მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით) და ელექტრონული ჟურნალი „school book“. ელექტრონულ ჟურნალს გააჩნია ოთხი ძირითადი მხარე: მასწავლებლის, მშობლის, მოსწავლის და ადმინისტრატორის. მშობელს საშუალება აქვს აკონტროლოს თავისი შვილის/შვილების დღის განრიგი, საშინაო დავალებები, შეფასებები, დასწრება/გაცდენები, ნახოს მოსწავლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. აქვთ საშუალება არაფორმალური განათლების ფარგლებში შეთავაზებულ კლუბებში განაწილდნენ და აირჩიონ მათთვის სასურველი დრო. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კლასის დამრიგებლები, სასწავლო წლის დასაწყისში, პირველ შეხვედრაზე ახდენენ მშობლების ინფორმირებას სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად ასპექტებიდან დაკავშირებით. ასევე აცნობენ: შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას და სხვა, სასკოლო ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. მშობელთა განცხადებით სკოლა ითვალისწინებს მათ კანონიერ მოთხოვნებს და რიგ შემთხვევაში რთავს მოსწავლეებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებაში (მაგ. მოსწავლეთა კვებასთან დაკავშირებით). ყველა მშობელმა პოზიტიურად შეაფასა სასკოლო გარემო, კლ. ხელმძღვანელების მუშაობა. საგნის მასწავლებლების მზრუნველობა და კომპეტენცია. ამრიგად, სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და ამავდროულად მშობლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დამრიგებლის ანგარიშები; • მშობელთა კომიტეტის დებულება; • სკოლის შინაგანაწესი; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ზრუნავს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებაზე მისი მუდმივი განვითარების მიზნით და მას განიხილავს, როგორც სკოლის ხარისხის განვითარების მექანიზმის ნაწილს. დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის გამოყოფილი ჰყავს ორი თანამშრომელი (ხარისხის მართვის მენეჯერი), რომელთა სამუშაო აღწერილობა, ფუნქციები და შესაბამისი ვალდებულებები აღწერილია ხელშეკრულებაში და შინაგანაწესში. წარმოადგინა შპს სკოლა ევრო-2000 -ის სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მექანიზმები, სადაც გაწერილია თუ რა პროცედურები უნდა გაიაროს სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და შემუშავებისათვის. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ახალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისათვის მზადებას სკოლა იწყებს სასწავლო წლის დასრულებისთანავე, აფასებს რა განვლილი სასწავლო წლის შედეგებს. შპს სკოლა ევრო-2000 -ის სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მექანიზმები შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: მუხლი 1. ზოგადი დებულებები; მუხლი 2. მონაცემების შეგროვების წყაროები; დოკუმენტი წარმოადგენს მექანიზმებს, რომელიც სასკოლო საზოგადოების წევრებს დაეხმარება სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენასა და განვითარებაში. დოკუმენტში აღწერილია რა შემთხვევაში შეიძლება შევიდეს ცვლილება მისიაში, საათობრივ ბადეში და სასკოლოს სასწავლო გეგმის სხვა კომპონენტებში, ასევე ჩანს რისკების და შედეგების ანალიზი. დოკუმენტში ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგისა და შეფასების საშუალებები. დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული დოკუმენტი არის სკოლის პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს სკოლა ევრო-2000 -ის სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მექანიზმები; • სასკოლო პერსონალის ანგარიშები, პედსაბჭოს ოქმები, კათედრების სხდომების ოქმები; • სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის სემესტრული ანგარიში; • სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის სემესტრული ანგარიში (დაწყებითი კლასები); • სასკოლო სასწავლო გეგმა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 7 277.41 კვ.მ.,	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-2000 (საიდენტიფიკაციო კოდი 245437843) მდებარეობს ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა №89 მდებარე შენობაში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით შენობის ფართის ოდენობა არის 7 277.41 კვ.მ., ხოლო სკოლის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართი შეადგენს 3 937.00 კვ.მ-ს, რომლის მეპატრონე თავად სკოლაა. სკოლა არის 9 სართულიანი. I სართულზე განთავსებულია კვების ობიექტი, შესასვლელი ფოიე, ხოლო II-IX სართულზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, სადაც განთავსებულია საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, კლუბი, სახვითი და გამოყენებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელოვნების ოთახი, მუსიკის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, ექიმის ოთახი, სამასწავლებლო, არქივის ოთახი, მარაგების ოთახი, საპირფარეშოები, სპორტული დარბაზები და ფსიქოლოგის ოთახი. ასევე სკოლის შენობის პირველ სართულზე არსებული 3 ფართი- 127,3 კვ.მ-ის (ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ.N91), 286 კვ.მ-ისა (ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ.N89) და 132.50 კვ.მ-ის (ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ.N89) ოდენობის არის არა სასკოლო დანიშნულების და გაცემულია იჯარით. ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე, ვიზიტის პერიოდში სკოლამ შეტანა განაცხადი აღნიშნული ფართების სკოლის სასწავლო დანიშნულების ფართებიდან გამიჯვნასთან დაკავშირებით (განაცხადი N21012744; 17.06.2022 წელი)
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქ ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქუჩა № 89
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**05.23.12.019**
კვ.მ.	3 937.00 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• საჯარო რეესტრის ამონაწერი; • სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-2000-ის შენობაში არის 63 მოქმედი საკლასო ოთახი. შენობაში განთავსებულია 2 კომპიუტერული ლაბორატორია, ორი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკა/ბიოლოგიისა და ქიმიის ლაბორატორია), მათემატიკის კაბინეტი, გერმანული ენის კაბინეტი, ინგლისური ენის კაბინეტი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სამდივნო, 2 სპორტული დარბაზი (დიდი და მცირე, დიდ სპორტულ დარბაზს სკოლა საჭიროების შემთხვევაში იყენებს სააქტო დარბაზად), ფსიქოლოგის ოთახი, თვითმმართველობის ოთახი, კლუბის ოთახი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კაბინეტი, მუსიკის კაბინეტი, სააქტო დარბაზი და მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრის 2 ოთახი. საკლასო ოთახებში, ლაბორატორიებსა და კაბინეტებში განთავსებულია 1240 მერხი (ერთადგილიანი) და 1290 სკამი. აღნიშნული ინვენტარის ფლობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტები. მერხებისა და სკამების ეს რაოდენობა საკმარისია სკოლაში დღეს არსებული მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე. სკოლას განაცხადი გაკეთებული აქვს 1500 მოსწავლეზე. სკოლაში არსებული მერხებისა და სკამების რაოდენობა არ არის საკმარისი განაცხადის შესაბამისი მოსწავლეთა რაოდენობისათვის. <u>სკოლამ ვიზიტის პერიოდში განახორციელა 250 ერთადგილიანი მერხისა და სკამების შესყიდვა და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია</u> . საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფებით, კარადებით, პლაკატებით, რუკებით, ცხრილებით, სხვადასხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებებით, შეფასების რუბრიკებით. ასევე რამდენიმე საკლასო ოთახი აღჭურვილია, კომპიუტერებითა, ტელევიზორებით და პროექტორებით: 1. 6ა კლასი -1 პროექტორი, 1 პროექტორის დაფა, 1 ტელევიზორი; 2. 1ბ, 1ე, 1დ, 1ვ, 3ა, 3ე, 3ზ, 2ე, 4ბ და 4ე კლასი -1 ტელევიზორი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3. 2ბ, 3დ, 1 დ, 1ა, 4ვ კლასი -1 კომპიუტერი, 1 ტელევიზორი; 4. 2ბ კლასი -1 კომპიუტერი; გერმანული ენის, ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, მათემატიკის კაბინეტები, სააქტო დარბაზი და ბიბლიოთეკა აღჭურვილია მოსწავლის ერთადგილიანი მერხებითა და სკამებით, ჭკვიანი დაფებით (4 ჭკვიანი დაფა), კომპიუტერებითა და პროექტორებით, მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრებითა და სხვადასხვა აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტებით. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კაბინეტებში განთავსებულია პიანინოები, ელექტრო პიანინო და მუსიკალური ცენტრი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შიდა-აზომვითი ნახაზი; • ანგარიშ-ფაქტურები; • მერხებისა და სკამების შეძენის დოკუმენტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-2000-ის შენობის მე-9 სართულზე მდებარეობს 2 სპორტული დარბაზი (დიდი და მცირე) გოგონებისა და ვაჟებისათვის განკუთვნილი გასახდელებით. დიდ სპორტულ დარბაზს სკოლა საჭიროების შემთხვევაში იყენებს სააქტო დარბაზად სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად. სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი, მინი კალათბურთის ფარები დაწყებითი საფეხური (1-4 კლასი) მოსწავლეებისათვის, სავარჯიშო ლეიბები, ბურთები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჰულაჰუპები, ლახტები, შეჯიბრების სანიშნეები. დიდ სპორტულ დარბაზში ასევე განთავსებულია პიანინო. მე-9 სართულზე არსებულ სპორტული დარბაზების გვერდით არის სპორტის მასწავლებლის ოთახი, სადაც ინახება სპორტული ინვენტარი და კომპიუტერი. სკოლის ეზოში მოწყობილია კალათბურთის და ფეხბურთის სპორტული მოედანი. სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად და ასევე სხვადასხვა სპორტული აქტივობების განსახორციელებლად არასაგაკვეთილო დროს, არსებული სპორტული დარბაზების, სპორტული მოედნისა და ინვენტარის მაქსიმალურად გამოყენების .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ინტერვიუ სპორტის მასწავლებელთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-2000-ის შენობის მე-9 სართულზე განთავსებულია 2 საბუნებისმეტყველო ქიმისა და ფიზიკა/ ბიოლოგიის ლაბორატორია. ქიმიის ლაბორატორიული კომპლექტი განთავსებულია ერთ ოთახში - კარადებსა და თაროებზე, ხოლო ფიზიკა/ბიოლოგიის-მეორე ოთახში. ლაბორატორიებში კედლებზე გამოკრულია თვალსაჩინოებები, დახურულ კარადებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თაროებზე განთავსებულია მიკროსკოპი, სინჯარები, კოლბები, მულაჟები, ქიმიური რეაქტივები და სხვა. სკოლას შეძენილი აქვს 2011 წელს STEM საგნების ლაბორატორია, რომელიც შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" N572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან. ლაბორატორიებში მეცადინეობები ტარდება საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია; • გასაუბრება შპს ,,სკოლა-2000"-ის საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-2000-ის შენობის ელექტროენერგიით, წყლითა და ბუნებრივი აირით უწყვეტი უზრუნველყოფა ხორციელდება საქალაქო ქსელიდან. სკოლას აღნიშნული მომსახურეობები მიეწოდება ,,სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა-დან", ,, ბათუმის წყალი"-დან და ,,ეპე ჯორჯია"-დან. საკლასო ოთახები ნათელია და აქვთ ბუნებრივი განათება. სკოლის შენობის გათბობა ხდება ცენტრალური გათბობის საშუალებით. შენობაში მოწყობილია გოგონების, ბიჭების, შშმ მოსწავლის და მასწავლებლის სველი წერტილები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა წარმოადგენს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დამოუკიდებელ აბონენტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-2000-ის სტრუქტურული ერთეულია ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს სამკითხველო დარბაზთან ერთად და სკოლის მეშვიდე სართულზეა განთავსებული. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც აღწერილია სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 12 მაგიდა და 40 სკამი. საინვენტარო ჟურნალის მიხედვით სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 9439 ერთეულს, მათგან 5239 მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურაა, რომელიც არის სხვადასხვა ენაზე (გერმანული ენა, რუსული ენა , ფრანგული ენა), დანარჩენი სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული სასკოლო სახელმძღვანელოებია. წიგნებზე სათანადო ადგილას დასმულია სკოლის ბეჭედი და მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომრები. წიგნების გატანა/ მოტანა აღირიცხება მკითხველთა ფორმულარებში. ბიბლიოთეკაში არსებობს მკითხველთა ფორმულარები. ბიბლიოთეკაში არის ანბანური კატალოგი ქაღალდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბიბლიოთეკაში არის 3 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პროექტორის დაფა, რომელსაც მიეწოდება ინტერნეტი და ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საინვენტარო წიგნები; • დირექტორებთან და ბიბლიოთეკართან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-2000-ის შენობაში განთავსებულია 2 ლიფტი. სკოლის ყველა სართულზე არის სველი წერტილები. სკოლის შენობის მე-2 სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირებისთვის (გოგონები/ბიჭები). შპს სკოლა-2000-ს ამ ეტაპზე სსსმ/შშმ მოსწავლე არ ჰყავს, მაგრამ სკოლა გამოთქვამს მზაობას სსსმ/შშმ მოსწავლეების მისაღებად. სკოლას აქვს შესაძლებლობა გამოყოს თავისუფალი სივრცე რესურს ოთახისათვის და გეგმავს მოაწყოს პანდუსი მომავალი სასწავლო წლისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სკოლის დირექტორებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა შპს სკოლა-2000-ის შენობაში განთავსებულია 2 კომპიუტერული ლაბორატორია მე-4 და მე-8 სართულზე. სკოლის მფლობელობაშია 89 კომპიუტერი. კომპიუტერულ ლაბორატორია მე-8 სართულზე აღჭურვილია 20 კომპიუტერის მაგიდით, 20 სკამითა და 20 კომპიუტერით, ხოლო მე-4 სართულზე განთავსებული კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია 16 კომპიუტერის მაგიდით, 20 სკამითა და 16 კომპიუტერით . დანარჩენი კომპიუტერები გამოიყენება ადმინისტრაციული დანიშნულებით, ასევე ბიბლიოთეკაში, STEM ლაბორატორიებში, სამოქალაქო განათლების კლუბში და საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესისთვის. თითოეული კომპიუტერი უზრუნველყოფილია ინტერნეტით და ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის. გარდა კომპიუტერებისა სკოლა აქვს **14** პროექტორი, 5 პრინტერი და 4 ჭკვიანი დაფა. პროექტორები და ჭკვიანი დაფები აქტიურად გამოიყენება სხვადსხვა აქტივობებისა და პრეზენტაციებისათვის. ვიზიტის პერიოდში განახლდა სკოლის ვებ-გვერდი და საშუალებას იძლევა ინფორმაციის გასავრცელებლად და კომუნიკაციისათვის. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება სილქნეტისგან. სკოლაში ყველა სართულზე არის უკაბელო ინტერნეტის შესაძლებლობა, ასევე საკლასო ოთახებში ლეპტოპებისათვის დამონტაჟებულია ინტერნეტის კაბელები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ხელშეკრულებები; • ანგარიშფაქტურები; • მიღება-ჩაბარების აქტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ვებ გვერდის დომეინის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები. შენობაში ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. სკოლას სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობის შესაბამისი ვადების დაცვით სხვენი დამუშავებული აქვს აალებადსაწინააღმდეგო ემულსიით, დამონტაჟებული აქვს ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემები. შემუშავებული აქვს ,,საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“, გაწერილი აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ბოლო სართულზე მიმდინარეობდა სახურავის რეკონსტრუქციის სამუშაოები. სკოლის დირექტორის განმარტებით, იგეგმება მანსარდის დაშენება. სკოლამ მიიღონ რეკომენდაცია დაიცვას მოსწავლეთა უსაფრთხოების ნორმები და სწავლის დაწყებამდე დაასრულოს სარემონტო სამუშაოები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ცეცხლმაქრების გადამუხტვის ხელშეკრულება; • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; • სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში, ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საევაკუაციო გეგმა, რომლის შესახებაც ინფორმირებულია სასკოლო საზოგადოება. სკოლაში პერიოდულად ტარდება საგანგებო სიტუაციებში რეაგირების იმიტაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საევაკუაციო გეგმის დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ინტერვიუირება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს ექიმი, რომლის მოვალეობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში. კერძოდ განსაზღვრულია ექიმის ძირითადი სტატუსი, მოვალეობები, უფლებამოსილებები. შენობაში მე-4 სართულზე , გამოყოფილია და სათანადოდ აღჭურვილია სამედიცინო ოთახი. ექიმის კაბინეტში განთავსებულია სამედიცინო ინვენტარი: მაგიდა, სამედიცინო ტახტი, ონკანი ნიჟარით, მაცივარი, სამედიცინო შირმა, კარადა პირველადი მოხმარების მედიკამენტებით, რომლებიც სისტემატიურად ახლდება. ექიმი აწარმოებს: ავადმყოფის სარეგისტრაციო ჟურნალს, მედიკამენტების აღრიცხვის ჟურნალს, მოსწავლეთა ჰიგიენური დათვალიერების ჟურნალს, კვების ბლოკის მუშაკთა სამედიცინო დათვალიერების ჟურნალს, სადეზინფექციო საშუალებათა მიღება--გაცემის ჟურნალს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ექიმის მიერ ხორციელდება საგანმანათლებლო შეხვედრები მოსწავლეებთან. სკოლის 40 თანამშრომელს გავლილი აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების ტრეინინგი და გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატი. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა არის 800 მოსწავლეზე მეტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება No41/ნ/01-23/ნ სამედიცინო პუნქტის მოწყობასთან დაკავშირებით“ შესაბამისად, სავალდებულოა სკოლას ჰყავდეს 2 ექიმი. ვიზიტის პერიოდში სკოლას გამოცხადებული ქონდა ვაკანსია ექიმს პოზიციაზე. სკოლის 9 სართულიანი შენობისა და მოსწავლეთა რიცხოვნობის გათვალისწინებით, ექსპერტების რეკომენდაციაა, მეორე სამედიცინო კაბინეტი/პუნქტი სკოლაში მოეწყოს პირველ სართულზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ექიმის პირადი საქმე; • ექიმის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება; • სერტიფიკატები; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და დამტკიცებულია სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დირექტორის ბრძანებით. ასევე სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და ჰყავს 2 მანდატური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს სკოლა ევრო-2000 უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი; • სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეოკამერებით. სკოლის შენობის ვიდეო დათვალიერება ხდება ღამის ხედვისა და მაღალი გარჩევადობის მქონე 43 ვიდეოკამერის საშუალებით. გარე კამერები დამონტაჟებულია ისე, რომ კონტროლდება სკოლის შენობა სრულ პერიმეტრზე და სკოლის ტერიტორიის (ეზოს) შესასვლელი გზის სავალი ნაწილიდან. სკოლას ვიზიტის პერიოდში რამდენიმე საკლასო ოთახში დამონტაჟებული ქონდა ვიდეო კამერა, რომელიც შეფუთული იყო წებოვანი ლენტით. <u>ექსპერტთა რეკომენდაციით ვიზიტის პერიოდში შესაბამის საკლასო ოთახებში მოხდა კამერების დემონტაჟი. სკოლამ მიიღო რეკომენდაცია 2 კიბის უჯრედი, რომელიც არ კონტროლდება, აღჭურვოს სამეთვალყურეო კამერებით.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კამერების შესყიდვის ზედნადებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, კათედრის დებულებები, სამსახურებრივი ინსტრუქციები, საქმის წარმოების წესი, რომლის მიხედვითაც სკოლა გეგმავს და წარმართავს სასწავლო პროცესს. სკოლის იურისტის განმარტებით, სკოლის წესდება მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მოვა, მეწარმეთა შესახებ 2022 წლის 1 იანვარს ამოქმედებული კანონის მიხედვით განსაზღვრულ ვადებში. შპს სკოლა ევრო-2000-ის დამფუძნებელთა კრების მიერ დამტკიცებულ წესდებაში ჩამოყალიბებულია: ზოგადი დებულებები, საქმიანობის საგანი, პარტნიორთა უფლება-მოვალეობები, საზოგადოების ქონება და სამეურნეო საქმიანობა, მართვა, წლიური ანგარიში და შედეგების განაწილება; პარტნიორების გასვლა საზოგადოებიდან, აღრიცხვა და ანგარიშგება, დასკვნითი დებულებები; პედსაბჭოს მიერ შეთანხმებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით მოწესრიგებულია ზოგადი დებულებები: სამუშაოზე მიღება, თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობები, სამუშაო და დასვენების დრო, შვებულების წესი, სკოლის სტრუქტურა, სტრუქტურულ ერთეულთა უფლება მოვალეობები; დისციპლინის საკითხები, წახალისების მექანიზმები და დისციპლინური სასჯელები, მოსწავლეთა ჩარიცხვა, და სხვა. <u>სკოლამ ექსპერტთა რეკომენდაციით ვიზიტის პერიოდში შეიმუშავა და დაამტკიცა სკოლის სტრუქტურა სქემატური სახით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წესდება; • შინაგანაწესი; • კათედრის დებულებები; • სამსახურებრივი ინსტრუქციები; • საქმის წარმოების წესი; • სკოლის სტრუქტურა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2016-2022) და ერთწლიანი (2021-2022 სასწავლო წელი) სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. გეგმების უდიდესი ნაწილი შესრულებულია. საანგარიშო პერიოდში სკოლის შენობაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. მოეწყო თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი საპირფარეშოები. განახლდა სკოლის სასადილო, რომელიც სრულად შეესაბამება სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ მოთხოვნილ სტანდარტებს, ასევე სრულად განახლდა სასადილოს ინვენტარი, სკოლამ შეიძინა თანამედროვე დანადგარები. მოხდა სკოლის ეზოს კეთილმოწყობა, სადაც მოსწავლეებს საშუალება აქვთ დიდ დასვენებაზე მოაწყონ განტვირთვა. ასევე მოეწყო სპორტული მოედანი ხელოვნური საფარით, სადაც ტარდება სპორტის გაკვეთილები. მოხდა სასკოლო ინვენტარის განახლება: მოსწავლეთა მერხების, კომპიუტერების / ლეპტოპების შეძენა, პროექტორის შეძენა, ინდივიდუალური კარადების შეძენა; სამკითხველო დარბაზისათვის მოსასვენებელი სავარძლების შეძენა. სკოლამ ექსპერტებს წარუდგინა ექვსწლიანი 2022-2028 წლებისთვის და ერთწლიანი გეგმის პროექტი, რომელიც შემუშავების პროცესშია. <u>სკოლამ მიიღო რჩევა გეგმის პროექტის დამტკიცებამდე დანერგოს და გეგმაში ასახოს გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები, განსაზღვროს შესრულების ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2016-2022) გეგმა; • ერთწლიანი (2021-2022 სასწავლო წელი) სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2022-2028) და ერთწლიანი გეგმის პროექტი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს სკოლის ,,ერთიანი საქმისწარმოების დებულება“. დებულება მტკიცდება დირექტრის ბრძანებით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით. საქმისწარმოების წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. სკოლაში იწარმოება: შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; მოსწავლეთა საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; სკოლის დირექტორის საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან დადებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი; შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი; სხვა სახის ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჟურნალების შესაბამის საქაღალდეებში დაცულია შესაბამისი კორესპონდენციის ასლი ან დედანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების ერთიანი წესი; • სარეგისტრაციო ჟურნალები და შესაბამისი საქაღალდეები; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულია 147 თანამშრომელი, აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 115 პედაგოგი. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს: 2 დირექტორი, 2 ხარისხის მართვის მენეჯერი, 2 დირექტორის მოადგილე, 2 ფსიქოლოგი, საინფორმაციო მენეჯერი, იურისტი, საქმისმწარმოებელი, ფინანსური მენეჯერი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფინანსური მენეჯერის თანაშემწე, ბიბლიოთეკარი, 2 შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, შესყიდვების მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, დამლაგებლების კოორდინატორი, ექიმი, ვიდეო მონიტორინგის მენეჯერი, 2 მნე, დარაჯი, მეკარე, 8 დამლაგებელი, პიარ მენეჯერი. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 981 მოსწავლე, დამატებით დარეგისტრირებული იყო 69 პირველკლასელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები; • საგაკვეთილო ცხრილი; • Eschool-ის ბაზა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	115
მოწვეული/მაძიებელი	14 /4 (1 პირობა დადებული)
პრაქტიკოსი მასწავლებელი	3 (რუსულენოვან სექტორზე)
უფროსი მასწავლებელი	80
წამყვანი მასწავლებელი	12
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პედაგოგები შერჩეული არიან მოქმედი კანონმდებლობით და სკოლის შინაგანაწესის (მუხლი7. სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება) შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პირადი საქმეები; • სკოლის შინაგანაწესი; • კონკურსის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა (შინაგანაწესი, თავი 8. დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა). სკოლას ჰყავს მკვიდრი და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კადრი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რეგისტრირებული შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ყველა ჟურნალის გვერდი არის დანომრილი. დალუქულია შესაბამისი ზონარითა და დამოწმებულია ბეჭდით. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. რაც შეეხება დირექტორს სკოლის წესდების მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით: ,,დირექტორთან ურთიერთობაზე არ ვრცელდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები; • შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი. მასწავლებლები ჩართული არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში. სქემის მოთხოვნათა შესაბამისად და ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკიდან გამომდინარე, სკოლა ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. ამ მიზნით ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლებს ესწრება გაკვეთილზე და აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებას. ამასთან ერთად გაკვეთილზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დასწრების შედეგების ანალიზის საფუძველზე, ხდება შესაბამისი რეაგირება. სკოლის ინიციატივითა და დაფინანსებით მიზნობრივი ტრენინგები ჩაუტარდათ პედაგოგებს. გარდა ამისა სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლების მიერ საკუთარი ინიციატივით ტრენინგებში მონაწილეობის აქტივობებს. სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებას, როგორც პედაგოგიური , ისე ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მხრივ. ექსპერტების მიერ გადამოწმდა შესაბამისი აქტივობები. მაგალითად: მიმდინარე წელს სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა და სკოლის იურისტმა გაიარა პროფესიული განვითარების კურსი და მოიპოვა სერტიფიცირება, ასევე ტექნიკურ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები/ინსტრუქტაჟით შრომისა და კოვიდ უსაფრთხოებაზე. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები და ეფექტურად იყენებს მას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სერტიფიკატები; • მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა; • ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში იგრძნობა დაცულობისა და კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სკოლის თანამშრომელთა დიდი ნაწილი სკოლის დაარსების პირველივე დღიდან მოღვაწეობს სკოლაში. მშობლებთან ინტერვიუირებით გაირკვა, რომ ხშირად კურსდამთავრებულების შვილები სწავლას აგრძელებენ ამავე სკოლაში. ინტერვიურების პროცესში თითოეული მშობელი აღნიშნავდა, რომ მათი შვილი დაცულია, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური კუთხით. სკოლის მოსწავლეები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას ეროვნულ ოლიმპიადებში, კონფერენციებში და კონკურსებში, სკოლას ყავს წარმატებული მოსწავლეები. ასევე სკოლა ჩართული იყო გაეროს მენტორინგის პროექტში, მოხდა მენტორების გადამზადება, რამაც შემდგომში სკოლას საშუალება მისცა დაენერგა მენტორინგის სისტემა. სკოლის მოსწავლეები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას ეროვნულ ოლიმპიადებში, კონფერენციებში და კონკურსებში, სკოლა ამაყობს წარმატებული მოსწავლეებით, ჰყავს: გერმანული ენის B2/ C1 დიპლომის მფლობელები, საქართველოს მოსწავლეთა ეროვნული ოლიმპიადის მესამე ტურის გამარჯვებულები, გერმანული ენის პირველი საფეხურის B1/A2/B1 დიპლომების მფლობელები, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) ერთი სტიპენდიანტი. შემუშავებულია ღონისძიებები წარმატებულ მოსწავლეთა წახალისებისათვის. სანიმუშო ყოფაქცევის, სწავლაში მაღალი აკადემიური შედეგების და სხვა საქმიანობაში მოპოვებული წარმატებებისათვის სკოლას შემუშავებული აქვს წახალისების ფორმები: სახელობითი სტიპენდია, სიგელები, დიპლომები, ფულადი პრემია, მადლობის ბარათები და სხვა. დისციპლინური გადაცდომის პრევენციისთვის მუშაობს დისციპლინარული კომიტეტი. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აქვთ საშუალება ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში და სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ, როგორც მასწავლებლებს, ასევე ადმინისტრაციას თავისი იდეების განხორციელებისათვის. მიმდინარე სასწავლო წელს კურსდამთავრებულთა შორის არის ოქროს და ვერცხლის მედალოსნები. ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშესაწყობად ეწყობა მიზნობრივი ექსკურსია-ლაშქრობები, ტარდება ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით, სადამრიგებლო პროგრამებისა და სადამრიგებლო ანგარიშების შესწავლით, ვიდეო და ფოტომასალის გაცნობით შეგვიძლია დავასკვნათ , რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დიპლომები; • სიგელები; • სერთიფიკატები; • სასკოლო პროექტები მათი ამსახველი ფოტომასალა; • სკოლის ვებგვერდი ; • სკოლის სოციალური ქსელი ; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი

თარიღი 18. 07.2022

გვერდების რაოდენობა 57 გვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.